8 ივნისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივმა სპარტაკელებმა მიიღეს თბილისის „დინამო“.

მთელი მატჩის მანძილზე ორივე გუნდი მოქმედებდა ნელ ტემპში, ყოველგვარი რისკისა და გართულებების გარეშე. პირველი 45 წუთის მსვლელობაში ორიოდე მომენტი შექმნეს სპარტაკელებმა რუდაკოვმა და ვოლგინმა, შემდეგ კი გაზაევის გადაცემის მერე სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა სვანაძე, მაგრამ მანაც ვერ გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა.

პირველი ტაიმისგან არც მეორე გამოირჩეოდა დაძაბულობით, სახიფათო მომენტებით ან მოთამაშეთა მონდომებით. ტემპი კვლავინდებურად დუნე იყო. ორივე გუნდის დაცვითი ხაზები აშკარად ჯობდნენ თავდასხმის ძალებს. თამაშის მეტი წილი შუა მინდორში მიმდინარეობდა. აქ კი, როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, არაზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებზე რამდენადმე გამოცოცხლდნენ ფეხბურთელები. ორი ძნელი ბურთი მოიგერია გაბელიამ. სახიფათო მომენტი შექმნეს ცაავამ, ჭედიამ და საკმაოდ უინტერესო, უკონფლიქტო თამაში ფრედ დამთავრდა – 0:0. ეს თბილისის „დინამოს“ მეექვსე ფრეა მიმდინარე გათამაშებაში.

მეტოქეთა შემადგენლობანი:

„სპარტაკი“ – ჩერჩესოვი, მიტინი, ბ. კუზნეცოვი, ხიდიატულინი, პოპელნუხა (ე. კუზნეცოვი), ბოგაჩოვი (სუსლოპაროვი), რუდაკოვი (რუსიაევი), ვოლგინი, ნოვიკოვი, ჩერენკოვი, კუჟლეევი (სპარტაკელებს სამი შეცვლის უფლება ჰქონდათ); „დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჭედია, კუდინოვი, გურული, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, გაზაევი (ცაავა), გოგრიჭიანი (მიქაბერიძე). მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

დუბლიორთა შეხვედრა მოიგო თბილისის „დინამომ“ – 2:0, ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და შენგელიამ.

ლელო 10.06.86